


სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში


კახაბერ კირტავა

„14„_04„, 2015 წელი

2 ეგზ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა
და ეკონომიკის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 7/105

2014 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	3
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	7
• მყარი ნარჩენების პროექტი.....	7
• სახელმწიფო შესყიდვები	8
• პრივატიზაცია	10
• პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვა და დაყადაღება.....	10
• ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება	12
• საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება	14
• ქონების მართვა	16
• საწარმოთა მართვა.....	16
• შრომის ანაზღაურება	18
• ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი.....	18
• ბიუჯეტის შედგენა -შესრულების მდგომარეობა.....	19
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	20
ანგარიშგების ფორმები	21

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელმაც მოიცვა სამინისტროს 2014 წლის ნაერთი ბალანსის, ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად ხარჯების, არაფინანსური აქტივების საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ფულადი გრანტების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებები. 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. შეუსაბამოა სსიპ „ბათუმის ბულვარის“ საბალანსო და საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები. ამასთან, საიჯარო ქირის გადახდის არსებული ფორმა აქტივების არაეფექტურ გამოყენებაზე მიუთითებს.

საბალანსო მონაცემების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში სსიპ „ბათუმის ბულვარს“ ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული აქვს 977,4 ათასი ლარი. მათ შორის საიჯარო გადასახადის სახით - 877,7 ათასი ლარი, საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული პროცენტის სახით - 93,8 ათასი ლარი და სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში ორგანიზატორების მიერ გადახდილი საშვის, სპორტული მოედნის სარგებლობისა და ბილეთების ღირებულების სახით - 5,9 ათასი ლარი.

საიჯარო გადასახადის სახით გადახდილი თანხებიდან 23,5 ათასი ლარი გადახდილია წინა წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად გათვალისწინებული ან/და დებიტორული დავალიანების სახით რიცხული

თანხებიდან, ხოლო 854,2 ათასი ლარი კი გადახდილია 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. ამასთან საბალანსო მონაცემებით, ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით დარიცხული 30,5 ათასი ლარიდან გადახდილია 1,2 ათასი ლარი, თუმცა პირველადი დოკუმენტების შესაბამისად გადახდილი ჯარიმების რაოდენობა 24,7 ათას ლარს შეადგენს.

აუდიტის პერიოდში გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს თანხა, ჩათვლილია პირველი გადასახადის ანგარიშში, რაც ხელშეკრულებების შესაბამისად მოიჯარეს აძლევდა საშუალებას, საიჯარო გადასახადის საწყისი ფასის, მხოლოდ 30 პროცენტის გადახდით, 1 თვის განმავლობაში გამოეყენებინა იჯარით გადაცემული ქონება ეკონომიკურ საქმიანობაში, რის შემდეგაც ხდებოდა ხელშეკრულების შეწყვეტა და მოიჯარე ჯარიმდებოდა საიჯარო ქირის 10 პროცენტით. 2014 წელს, საიჯარო ქირის გადახდის ზემოთ მოყვანილი ფორმის გამოყენების შედეგად, 24 შემთხვევაში, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს თანხისა და დარიცხული ჯარიმის სახით ფაქტიურად მიღებულია 46,1 ათასი ლარი, რაც 240,2 ათასი ლარით ნაკლებია აუქციონის შედეგად გადასახდელად დაფიქსირებულ საიჯარო ქირაზე, რაც ადმინისტრაციის მიერ აქტივების არაეფექტურ გამოყენებაზე მიუთითებს.

2. სსიპ “ბათუმის ბულვარში” არ ხდებოდა, ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივების, ქონების გადასახადით დაბეგვრა და შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვა.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახდენს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა აქტივების სასყიდლიანი ფორმით სარგებლობაში გადაცემას, რისთვისაც აუქციონზე დაფიქსირებული ფასის შესაბამისად ღებულობდა შემოსავალს. აღნიშნული საქმიანობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, უნდა ჩათვლილიყო ეკონომიკურ საქმიანობად. შესაბამისად, ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული არ არის კანონმდებლობის მოთხოვნა¹, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადით დასაბეგრ ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული, ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობები.

¹ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 201-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“, 203 -ე მუხლის „ბ“, და 206-ე მუხლის 1 პუნქტი „ე“ ქვეპუნქტების მოთხოვნები.

3. სსიპ „ბათუმის ბულვარში“ არ არის აღრიცხული საფეხმავლო გზების დემონტაჟის შედეგად მიღებული 230,2 კუბ.მ ვარგისი დეკორატიული ფილები.

აუდიტის პერიოდში გაფორმებულია 4 ხელშეკრულება ბათუმის ბულვარში არსებული შიდა საფეხმავლო გზების კეთილმოწყობის სამუშაოების შესახებ. ხელშეკრულებების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშების (ფორმა 2) შესაბამისად, დეკორატიული ფილების დემონტაჟის შედეგად, მიღებული და დასაწყობებული იქნა 230,2 კუბ.მ დეკორატიული ფილა, რომელიც ბუღალტრულად არ არის აღრიცხული.

N	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	შემსრულებელი	სახელშეკრულებო ღირებულება	დემონტაჟის შედეგად მიღებული ფილა მ ³
1	2/12. 13.03.2014	შპს „გემო“	169899	40
2	2/16. 24.03.2014	შპს „გემო“	227900	2,2
3	2/13. 17.03.2014	შპს „მონოლითი 2005“	342332	102
4	2/15. 24.03.2014	შპს „გემო“	598980	86
	ჯამი			230,2

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• მყარი ნარჩენების პროექტი

2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის თანახმად ბანკი დათანხმდა საქართველოს გამოუყოს 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელებისა და მხარდაჭერის ხელშეკრულებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმს, ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ბანკს შორის და ამავე დღეს გაფორმდა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ განხორციელების ხელშეკრულება შპს „ჰიგიენა -2009“-სა და ბანკს შორის. აღნიშნული ხელშეკრულებების გათვალისწინებით, 2010 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმდა ქვესასესხო ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან, სასესხო ხელშეკრულებითა და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისათვის, უნდა მიეღო 3000,0 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად, სესხის მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,5%-ის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და კომპანია „SWECO“-ს შორის, 2013 წლის 17 დეკემბერს გაფორმდა ახალი ხელშეკრულება საინჟინრო და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვის შესახებ, რომლის ღირებულებაც 482,4 ათასი ევროთი განისაზღვრა. აღნიშნული მომსახურების შესყიდვა საჭირო გახდა ნაგავსაყრელის პოლიგონის მშენებლობისათვის ახალი ადგილის(სოფ. ცეცხლაური) გამოყოფასთან დაკავშირებით და ფაქტიურად გრანტის ფარგლებში გაწეული საინჟინრო - საზედამხედველო მომსახურება, დაბა ჩაქვში ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით, სრულად გამორიცხადებული გახდა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება სულ 482,4 ათასი ევროთი განისაზღვრა. მათ შორის 399,3 ათასი ევრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო 83,0 ათასი ევრო, პროექტის მხარდაჭერისათვის გამოყოფილი გრანტის აუთვისებელი ნაწილია, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, კომპანია „SWECO“-ს მიერ გასაწევი მომსახურებისათვის გამოყოფილი გრანტიდან, 2013 წლის 17

დეკემბრის მდგომარეობით², აუთვისებული იყო 90,4 ათასი ევრო, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხაზე 7,4 ათასი ევროთი მეტი.

აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, აუდიტის პერიოდისათვის არ განხორციელებულა ხელშეკრულების ცვლილება, რითაც მოხდებოდა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება და შესაბამისად დაიზოგებოდა საბიუჯეტო სახსრები. ამასთან კონსულტანტის მიერ შესრულებელი სამუშაოების შემოწმებით დგინდება, რომ ადგილი აქვს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას დადგენილი გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, რისთვისაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით პირგასამტეხლოს სახით, 2015 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, დარიცხვას ექვემდებარება 99,8 ათასი ევრო.

2014 წლის განმავლობაში, პროექტის შესრულების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ისევ ვერ მოხერხდა საპროექტო დოკუმენტაციის სამუშაო ვარიანტის შემუშავება. შედეგად 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხის სახით გამოყოფილი 3000,0 ათასი ევროდან თანხის ათვისება არ მომხდარა და ხელშეკრულების მე-3 პუნქტის შესაბამისად აუთვისებელ ნაწილზე ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 153,8 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს -51,0 ათასი ლარი, 2012 წელს -34,0 ათასი ლარი, 2013 წელს - 33,6 ათასი ლარი და 2014 წელს 35,2 ათასი ლარი.

• სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატის მიერ გამოცხადებული იქნა 44 ტენდერი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით ხელშეკრულებები გაფორმდა 26 შემთხვევაში, უარყოფითი შედეგით დასრულდა 2, ტენდერი არ შედგა 14 და შეწყვეტილია 2 შემთხვევაში.

➤ ქ. ბათუმში, 170 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური საავადმყოფოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, 2014 წლის 13 ნოემბერს, შპს „ბლოკ ჯორჯიასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება 270,0 ათასი ლარის ღირებულებით. შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის ფორმით და საფუძვლად დაედო სამინისტროს წარდგინების შესაბამისად გამოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება³, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ

² სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 17 დეკემბრის N272 ხელშეკრულების გაფორმების თარიღი

³ აჭარის ა.რ. მთავრობის განკარგულება N159, 30.10.2014

ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სამინისტროს უფლება მიეცა ზემოთ აღნიშნული შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებინა.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრო თავის მოსაზრებას, საპროექტო დოკუმენტაციის კვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტების მიერ დამუშავებისა და შესყიდვის დაჩქარების უზრუნველყოფის მიზნით ხსნის, თუმცა სამინისტროში საკითხის განხილვა 2014 წლის 20 ოქტომბერს, ანუ საბიუჯეტო წლის დასრულებამდე 73 დღით ადრე დაიწყო და ამასთან ობიექტის მშენებლობა 2015 წლის მეოთხე კვარტლიდან არის დაგეგმილი. შესაბამისად, არ იკვეთება შეზღუდულ ვადებში შესყიდვების ჩატარების აუცილებლობა.

➤ 2014 წლის 24 მაისს, შპს „სამშენებლო კომერციული კორპორაცია ხიდთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვაშლოვანში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენდა 3291,9 ათას ლარს და ანგარიშსწორების საავანსო ფორმად გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების ღირებულების 15% და ასევე დამატებით არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი შესასრულებელი სამუშაოების 15 %, სამუშაოების ღირებულების 30 %-ის შესრულების შემთხვევაში.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 2014 წლის 1 ივლისს მიმწოდებელს ავანსად გადაერიცხა 493,8 ათასი ლარი, ანუ სახელშეკრულებო ღირებულების 15%. ხელშეკრულებაში 2014 წლის 30 სექტემბერს განხორციელებული ცვლილების შედეგად შეიცვალა ანგარიშსწორების საავანსო ფორმა და გაუქმდა ავანსის პროცენტული ზღვარი. აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, 2014 წლის 30 სექტემბერს, მიმწოდებელს დამატებით ავანსად ჩაერიცხა 1700,0 ათასი ლარი. შედეგად, მიმწოდებელს სულ ავანსად ჩაერიცხა 2193,8 ათასი ლარი, ანუ სახელშეკრულებო ღირებულების 66,6 %.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილება საავანსო ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით არ იყო არგუმენტირებული და შესაბამისად ავანსად საბიუჯეტო სახსრების გაცემის აუცილებლობა არ დასტურდება. ამასთან, აღნიშნული ქმედებით არაკონკურენტული გარემო შეიქმნა იმ პოტენციური პრეტენდენტებისათვის, რომლებმაც ტენდერის გამოცხადების ეტაპზე არ იცოდნენ საავანსო ანგარიშსწორების არსებობისა და რაოდენობის შესახებ.

• პრივატიზაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს პრივატიზებულია სულ 35 ობიექტი. მათ შორის: 4 პირდაპირი მიყიდვის, 7 პირობიანი აუქციონის და 24 უპირობო აუქციონის ფორმით. ამავე პერიოდში მიმდინარეობდა 116 ობიექტის პრივატიზებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი. ამასთან, აღნიშნული საქმეებიდან 9 საქმე 2012-2013 წლებში, შემდგომი რეაგირების მიზნით გადაცემულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურზე, კერძოდ:

N	საქმის დასახელება	მყიდველი
1	შპს „ქ. ბათუმის N3 საავადმყოფოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული 100% წილი	შპს „ლადალია“
2	ქ. ბათუმში, თამარის დასახლება, თამარ მეფის გზატკეცილზე მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობა და მასზე მიმაგრებული 22566 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „GEORGIA INN“
3	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ #30-ში მდებარე შენობა-ნაგებობა (1799 კვ.მ) და მასზე მიმაგრებული 1362 კვ.მ მიწის ნაკვეთი. (მეზღვაურთა საავადმყოფო)	შპს „გოგებაშვილი 30“
4	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი. ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქ. N1	შპს „აჭარა რიზორტ ჰოლდინგ BB.V“
5	ქ. ბათუმში, ლესელიძის ქ #6-ში მდებარე 1211,41 კვ.მ შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული 753 კვ.მ მიწის ნაკვეთი	არტურ მურადიანი
6	ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქ N10/12-ის მიმდებარე მდებარე 1621 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს "ADOG-GEORGIA"
7	ქ. ბათუმში, ს. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარე სასტუმრო „მარინასა“ და აკვაპარკს შორის მდებარე 9900 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ეს დაბლიუ-ინ“
8	შპს „ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური ცენტრის“ და შპს „ბათუმის სამშობიარო სახლის“ 100%-იანი წილი.	შპს „ავანტე“
9	აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, შავშეთის/გოგებაშვილის ქ. N2,4,6/60 მდებარე 4706,21 კვ.მ შენობა-ნაგებობა და 5196 კვ.მ მიწის ნაკვეთი	შპს „მერსინ ტურიზმი“

• პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვა და დაყადაღება

2008-2012 წლებში პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვისა და დაყადაღების გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის მიუხედავად, ვერ ხერხდება 5119,8 ათასი აშშ დოლარისა და 2343,9 ათასი ლარის ღირებულების ქონების ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დაბრუნება. კერძოდ:

ობიექტის დასახელება	მყიდველი	ვალდებულების შესრულების ვადა	ქონების იპოთეკით დატვირთვის თარიღი	ქონების ღირებულება
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული სს „აჭარის კურორტების“ 100%-იანი და სს „მესხეთის“ 52,83%-იანი აქციათა პაკეტი	შპს „აჭარა რიზორტს ჰოლდინგ ბი.ვი“	01.09.2011	08.04.2008	4000,0 ათასი აშშ დოლარი
ქ. ქობულეთში, მ. აბაშიძის ქ. N102-ში მდებარე მეცნიერებათა შემოქმედებითი სახლის დაუმთავრებელი მშენებლობა საერთო ფართობით 11895,5 კვმ და მასზე დამაგრებული 50000 კვ.მ მიწის ნაკვეთი	ივანე მარტიაშვილი	24.10.2008	18.10.2007	850,0 ათასი აშშ დოლარი
ქ. ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო N74-ში მდებარე ყოფილი N1 მუსიკალური სკოლის შენობა ფართობით 451,1 კვმ და მასზე დამაგრებული 1050 კვმ მიწის ნაკვეთი	ნოდარ ბერიშვილი	29.11.2010	29.06.2008	160,0 ათასი აშშ დოლარი
აჭარის ა.რ. საკუთრებაში არსებული ქონების სს „გომარდულისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ	სს „გომარდული“	20.12.2013	27.11.2012	2157,2 ათასი ლარი
შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვანაში მდებარე 4837,11 კვ.მ შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული 25629,4 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ბიოპოლუსი“	30.06.2013	24.08.2011	186,7 ათასი ლარი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის, დაბა ჩაქვში, ჩაის სახლის მიმდებარედ 12730 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	შპს „ჩაქვის 2005“	31.04.2014		132,9 ათასი ლარი

➤ საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, თბილისის სააღსრულებო სასამართლოს 2013 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მოხდა ნოდარ ბერიშვილის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია. სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ვალდებულება გადავიდა ქონების ახალ მესაკუთრე სს „საქართველოს ბანკზე“, რომელსაც აუდიტის პერიოდში ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია სამინისტროში არ წარმოუდგენია.

➤ სს „გომარდულის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, 2014 წლის 30 აპრილს დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება ხელშეკრულების გაუქმებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ. ახალი საინვესტიციო წინადადების შესახებ, მყიდველის 2014 წლის 24 ივნისის წერილის შესაბამისად, 2014 წლის 1 ივლისს, მთვარობის თავმჯდომარის სახელზე გაკეთდა წარდგინება ხელშეკრულებაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, თუმცა აუდიტის პერიოდისათვის გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

➤ შპს „ბიოპოლუსის“ მიერ, 2015 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, არ არის გადახდილი ნასყიდობის თანხა და არ არის შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც ხდება საჯარიმო სანქციების გამოყენება. ხელშეკრულების გაუქმებისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2014 წლის 9 სექტემბერს, თუმცა

გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოშლის შესახებ მიღებული არ არის და 186,7 ათასი ლარის ღირებულების ქონება კვლავ შპს „ბიოპოლუსის“ საკუთრებაშია.

➤ შპს „ჩაქვი 2005“-ის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, განხორციელებულია 373.8 აშშ დოლარის ინვესტიცია, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის, რის გამოც მყიდველის მხრიდან ვადის გაგრძელების თხოვნის მიუხედავად, სამინისტროს 2015 წლის 21 იანვრის Nს-20 ბრძანების შესაბამისად მოიშალა ხელშეკრულება. შპს „ჩაქვი 2005“-ს გადასახდელად პირგასამტეხლოს სახით დაერიცხა 308,8 ათასი ლარი და 6,9 ათასი დოლარი და მის საკუთრებაში რიცხული ქონების, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში დაბრუნების თხოვნით გაკეთდა მიმართვა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოზე. აღნიშნული თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან შესყიდულ ქონებაზე რეგისტრირებულია ყადაღა.

➤ რაც შეეხება შპს „აჭარა რიზორტს ჰოლდინგ ბი.ვი“ - სა და ივანე მარტიაშვილზე რიცხული ქონების დაბრუნების მდგომარეობას, საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, მყიდველების მიერ წარმოდგენილია ახალი საინვესტიციო წინადადებები, რომლებიც განხილვის პროცესშია და აუდიტის პერიოდისათვის გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, პრივატიზებული ქონების იპოთეკით დატვირთვისა და დაყადალების გამო, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში, სამინისტროს მხრიდან გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ ხერხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში ქონების დაბრუნება.

● **ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება**

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წელს სამინისტრო ახორციელებდა პირობების შესრულების მონიტორინგს 116 ნასყიდობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან 55 შემთხვევაში, საერთო რაოდენობის 47.4 პროცენტი, ვერ ხერხდება დადგენილ ვადებში ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვა 6 შემთხვევაში, ხელშეკრულებები მოიშალა 13 შემთხვევაში, ვალდებულებების შესრულება გადავადდა და დარიცხული საჯარიმო სანქციები ჩამოიწერა 25 შემთხვევაში, ხოლო 17 შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის პირობებში,

გადაწყვეტილებები არ არის მიღებული. ამასთან, ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე არათავისდროული და არასათანადო კონტროლის დაწესების ფაქტებს. მაგალითად:

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ნინოშვილის, დ. თავდადებულისა და რუსთაველის ქუჩებს შორის მდებარე 7007 კვ.მ ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიყიდვის შესახებ შპს „აქტივ ბათუმთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2012 წლის 5 ნოემბერს, თუმცა გადაწყვეტილება ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მიღებულია 2015 წლის 23 იანვარს;

➤ შპს „Esco-Georgia“-ს მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წარდგინება, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაგზავნილია 2013 წლის 10 ივლისს, თუმცა გადაწყვეტილება არ არის მიღებული;

➤ შპს „სანატორიუმი-სასტუმრო ოაზისს“ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დაკისრებული საჯარიმო სანქციები, 2013 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმების აქტის თანახმად ჩამოეწერა, ვალდებულების სრულად და დროულად შესრულების პირობით. ვალდებულებები არ შესრულებულა, რის გამოც გაუცოცხლდა ჩამოწერილი და დაეკისრა ახალი საჯარიმო სანქციები, რამაც 2015 წლის 15 იანვრის მდგომარეობით 2380,0 ათასი აშშ დოლარი და 832,8 ათასი ლარი შეადგინა. ზემოთ აღნიშნული თარიღიდან ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი.

➤ შპს „ოდისეასთან“ და ირის ბორჩაშვილთან, გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, სამინისტროს არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, წარმოდგენილი არაა, თუმცა რეაგირება აუდიტის პერიოდისათვის არ არის განხორციელებული.

ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციების, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით შესაბამისი სარჩელები შეტანილია სასამართლოში. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასრულებულია 15 საქმე და 41297,2 ათასი ლარის და 730,8 ათასი აშშ დოლარის ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღების მიზნით მასალები გადაგზავნილია

აღსრულების ეროვნულ ბიუროში. თუმცა მიუხედავად ამისა, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად დარიცხული თანხებიდან ნაშთად ირიცხება 46303,9 ათასი ლარი, 2663,1 ათასი აშშ დოლარი და 371,9 ათასი ევრო.

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „მშენებლობა 2011“-ს შორის, 2012 წლის 29 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, ხელვაჩაურის დასახლებაში მდებარე 5713 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების, კერძოდ, საქართველოს 15 მოქალაქის დასაქმების შესახებ ინფორმაცია, სამინისტროს მოთხოვნის⁴ მიუხედავად, აუდიტის პერიოდში არ არის წარმოდგენილი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, მოიჯარეს ჯარიმის სახით უნდა დარიცხოდა 20,4 ათასი ლარი, რაც აუდიტის პერიოდისათვის არ არის განხორციელებული.

• საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება

აუდიტის პერიოდში, საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის მოტივით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სამინისტროს წინადადების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, ქონების მყიდველები, 25 შემთხვევაში პირობით⁵ გათავისუფლდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დარიცხული 3739.8 ათასი ლარის საჯარიმო სანქციისაგან. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მოტივით 2013 წელს 17 შემთხვევაში ჩამოეწერათ ნასყიდობის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის საჯარიმო სანქციის სახით დარიცხული 2787,2 ათასი ლარი.

ნასყიდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლებას საფუძვლად უდევს სამინისტროს შესაბამისი მიმართვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისადმი, რომლის მოწონების შემთხვევაში, მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, სამინისტროს ენიჭებოდა საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლების უფლება.

⁴⁴ სამინისტროს წერილი N01-10/3218. 18.07.2014

⁵ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღდგენილი იქნება საჯარიმო სანქცია სრული ოდენობით.

სამინისტროს მიერ, ამ მიზნით მთავრობისადმი წარდგენილი წინადადებების შემოწმებით, გამოვლინდა საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები. კერძოდ, სამინისტროს შესაბამისი წინადადების გათვალისწინებით, დარიცხული საჯარიმო სანქციებისგან მთლიანად გათავისუფლდნენ: შპს „ADOG - GEORGIA“ (დარიცხული ჯარიმა 257,7 ათასი ლარი), შპს „გლორია“ (დარიცხული ჯარიმა 108,3 ათასი ლარი), შპს „TEM-GEO“ (დარიცხული ჯარიმა 221,2 ათასი ლარი) და ა.შ. დარიცხული ჯარიმა შეუმცირდათ : შპს „ცენტრომედს“ – 40,7%-ით (დაერიცხა 67,5 ათასი ლარი, შემცირდა 40,09 ათას ლარამდე), შპს „ბაკარას“ -96 %-ით (დაერიცხა 2383,4 ათასი ლარი, შემცირდა 80,0 ათას ლარამდე), რზა თალიბოვს – 77,5%-ით (დაერიცხა 44,5 ათასი ლარი, შემცირდა 10,0 ათას ლარამდე). აღსანიშნავია, რომ საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტები დაფიქსირდა ასევე 2013 წელსაც და აუდიტის სამსახურის შესაბამისი რეკომენდაციის მიუხედავად მდგომარეობა ამ მიმართებით არ შეცვლილა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, საკუთრებაში ან სარგებლობაში ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის დარიცხული სანქციებისაგან გათავისუფლება, დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა შემთხვევები, როცა სანქციებისაგან გათავისუფლების აუცილებლობა ვერ დგინდება. კერძოდ: ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში, ხელშეკრულების პირობების არათავისდროული შესრულებისათვის დარიცხული საჯარიმო სანქციებისაგან გათავისუფლება ვალდებულებების შესრულების შემდეგ, არაარგუმენტირებულად არის განხორციელებული:

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით⁶, პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს „სამედიცინო ცენტრ-ნეოკლინიკას“ (შემდგომში შპს „ცენტრომედი“) საკუთრებაში გადაეცა ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. N48-ში მდებარე 1609 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა და მასზედ დამაგრებული 1084 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, მიყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვადის დარღვევით აქვს შესრულებული, რისთვისაც საჯარიმო სანქციის სახით დარიცხვას დაექვემდებარა 67,5 ათასი ლარი. სამინისტროს 2014 წლის 10 ნოემბრის წარდგინების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 11 ნოემბრის N161 განკარგულების საფუძველზე, შპს „ცენტრომედი“ გათავისუფლდა დარიცხული

⁶ N159. 10.11.2009წ

ჯარიმისაგან, გარდა 40,0 ათასი ლარისა. გათავისუფლების მოტივად მითითებულია დარიცხული სანქციების დიდი მოცულობა, რაც ჩვენი მოსაზრებით არ არის საკმარისი არგუმენტი სანქციებისაგან გასათავისუფლებად.

➤ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით⁷, პირდაპირი მიყიდვის ფორმით შპს „Green Cape“-ს საკუთრებაში გადაეცა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში მდებარე 782 კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობა და მასზედ დამაგრებული 5579 კვ.მ მიწის ნაკვეთი. საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები ვადის დარღვევით აქვს შესრულებული, რისთვისაც საჯარიმო სანქციის სახით დარიცხვას დაექვემდებარა 86,8 ათასი ლარი. სამინისტროს 2014 წლის 6 მაისის წარდგინების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 23 მაისის N75 განკარგულების საფუძველზე, შპს „Green Cape“ სრულად გათავისუფლდა დარიცხული ჯარიმისაგან. აღნიშნულ შემთხვევაში საჯარიმო სანქციისგან გათავისუფლების მოტივი არ არის წარმოდგენილი.

● ქონების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2014 წლის Nს-157 ბრძანების შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების არამართლზომიერი გამოყენების 43 შემთხვევა, რომლებიც 2008-2012 წლებშია რეგისტრირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად. კომისიის მიერ გამოვლენილი უკანონო ქმედებების აღკვეთის მიზნით, სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქონების არამართლზომიერი გამოყენება 2014 წლის განმავლობაშიც გრძელდებოდა. ამასთან, კომისიის მიერ გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, ქონების სარგებლობის საფასურის სახით დარიცხვას დაექვემდებარა 2638,8 ათასი ლარი, საიდანაც აუდიტის პერიოდისათვის ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხები ჩარიცხული არ არის.


● საწარმოთა მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 63 საწარმოდან, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების მიხედვით, 2013 წელი მოგებით დასრულებული აქვს 16 საწარმოს, ანუ 25,4 პროცენტს. 2 საწარმოს 2013 წლის ფინანსური ანგარიშები არ წარმოუდგენია.

⁷ N159. 10.11.2009წ

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად, წლიური ფინანსური მოგება 1 886,3 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც წინა წლების დაუფარავი ზარალის გადაფარვის და დარიცხული მოგების გადასახადის გათვალისწინებით, 2013 წლის წმინდა მოგება 1553,0 ათასი ლარით განისაზღვრა. პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, 2013 წლის მოგებიდან, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, საწარმოებში დატოვებული იქნა 164,7 ათასი ლარი⁸. ამავე დროს გასული წლების მონაცემებით, დარჩენილი გადასახდელი თანხების გათვალისწინებით, 2014 წელს დივიდენდების სახით გადახდას დაექვემდებარა 1806,2 ათასი ლარი. სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წელს დივიდენდის სახით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლებში ჩარიცხულია 1312,2 ათასი ლარი, ანუ 72,6 პროცენტი.

საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები 2008-2011 წლებში
(ათასი ლარი)



როგორც ზემოთ მოყვანილი გრაფიკიდან ჩანს, საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების მოცულობას 2010-2014 წლებში ზრდის ტენდენცია ახასიათებს, რაც შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხებითაა განპირობებული. შპს „სავაჭრო ცენტრი 2009“-ის მიერ 2011 წელს დივიდენდის სახით გადახდილია 74,0 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 67,2 %), 2012 წელს - 627,1 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 48%), 2013 წელს - 796,4 ათასი ლარი (ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 60,8 %), და 2014 წელს - 841,5 ათასი ლარი ((ბიუჯეტში დივიდენდის სახით ჩარიცხული თანხის 64,1 %).

